

თათია. არაფერს სანუგეშოს, შეილო! შენ გიყვარს ერთი ქალი გაგიყვებოდა, მაგრამ ის კი გატყუებდა და გლალატობს, მაგრამ არაფერია, ისევე შენთან მოვა...

მუხადე. აი, დასწყევლოს ღმერთმა! რა იცოდა? რაც მიტხრა, სულ მართალია!—

თათია. შენა გყავს ბევრი მტერი, რომელიც საქმეში ხელს გიშლიან, უნდათ რომ გაზარდონ.

მუხადე. მართალს ანობა, დედა შეილო-ბამ! მყვანან მტერები, იმათ უნდათ, რომ ჩემი ჟურნალი დაეცეს.

თათია. ხომ გენიშნა? ტყეილს არაოდეს არ ეიტყვი დედა შეილო-ბამ; სულს როგორ წაიწყებინა? შენი მტრები რაღაცას გიწუნებენ....

მუხადე. მართალია, მიწუნებენ, მაგრამ სულ შური და მტერობით; აი, ახლაც მაგივრად რუსეთიდან წიგნი; შენს ჟურნალს მიმართულებული აქვია, „რას ეძახიან მიმართულებას, ვერ გამოგია! აქამდის ხმელეთით ვგზავნიდი რუსეთში ჟურნალებს და ახლაც სხვა გზით მიემართე ზღვით გავგზავნი და არ გამოიცვლება, მიმართულება, აბა რა იქნება?

თათია. კი, შეილო, გამოიცვლება, ლობიოს მარცვლებიც ამბობენ.

მუხადე. მაშ მამინ ხელის მომწერლებიც მომემტებიან? აბა ერთი ესეც მიკითხე, ბევრი მეყოლებიან ხელის მომწერლები წრეულს თუ არა?

თათია. მართლაც არის, თუ ის შეულოცე ბევრი გეყოლება, უმისობა არ იქნება.

მუხადე. მინ იცის ეგ ლოცვა?

თათია. მე ვიცი.

მუხადე. მაშ მასწავლე!

თათია. რას მომცემ, შეილო?

მუხადე. რა უნდა მოგცე, განა მაგაშიაც კი რას ითხოვ? შევეცადე სასარგებლო საქმეში.

თათია. რა ექნათ, შეილო, ჩვენი ხელობა ეგ არის, მაგითი ერჩებით.

მუხადე. პარა, რაღა გაეწყობა, ერთ ჰინებულს ლექს დაგიწერე, ქვეყანაში გამოგაჩენ! შენი სახელი საშვილო შეილოთ გადაე.

თათია. არ მინდა გენაცვალე, შეილო, მაგისთანა გამოჩენა, მე ერთი აბაზიცი მიჩვენია, შეილო.

მუხადე. მკ, უგზურება! მაგრე აფასებ შენ პოეზიას! მაგრამ რა გაეწყობა, მარტო შენ ხომ არა ხარ, ჩვენში ბევრი აფასებს მაგ გვარად ჩვენი პოეტების მღერას. (ამოხვეწით) რა გაეწყობა! ჯანა გაგვარდეს! აბა, წაიღე ეს ერთი აბაზი და კიდევ მასწავლე, რა უნდა ექნა?

თათია. წადი, შეილო, ორი ვირას თავი იშოვნე გამხმარი, ერთმანეთზე მიაკარი, მერე მე მომიტანე; მე შეულოცავ, შენ ის ჩემი შელოცვილი წაიღე და კლდის ძირში სადმე ჩაფალი და გულის წაღილიც აგისრულდება. ახლა კი მშვიდობით! (მიდის)

გამოსვლა 4-ე.

მარტო მუხადე.

მუხადე. დიდება შენს სახელს ღმერთო! უხადოთ ვერ ეამხელ, თორემ გულში კი მჯერა მკითხაობა... რაც ახლა ამან გამიცნო, მოდი და ნუ დაიჯერებ შენ!... რომ მენიშნა!... (ახლა... მნახოთ, რას იზამს გადალოცვა! მეგება მართლა ვირის თავებმა მიშველონ!... მნახოთ!... იმედი კი მაქვს! მჯერა!... სად ვიშოვნო ორი თავი? (ფიქრდება) იმ, ვირების მეტი რაღა არის ჩვენი! მართლაც თავს როგორ ვერ ვიშოვნო, იმასაც კიდევ გამხმარს? დღეს მე სიზრმებიც მისთანა ენახე, რომ უთუოდ კარგათ წავა ჩემი საქმე!... წავიდე, ერთი მაღე მაინც მოგნახო ვირის თავები. (მიდის)

ფარდა დაეშვება.

შემატებელსი სენატის განკარგულებით, რომელიც მოხდა ამ წლის ორს ივლისს, გადასწდა: გენერალ-ფელდმარშალი თავადი ბარათინსკი დამტკიცდეს საპატიო მომრიგებელ მოსამართლედ (მირივი სულდალ) პურსკის გუბერნიის, ლევის მაზრის ეკანისაზედ.

პოლიტიკა.

შრანია.

სორბონში რომ ჯილდოების დარიგების დროს დემონსტრაცია მოხდა სტუდენტებისაგან, იმის თაობაზედ სხვა და სხვა ფრანკულ გაზეთებში არის დაბეჭდილი დაწერილებითი ამბები. აი რა სწერია Presse-ში, 11 აგვისტოდან: „მუშინ სორბონში დიდი ამბით ურიგებდნენ ჯილდოებს. სახლობი განათლების მინისტრს გენერალ-ფელდმარშალის პრინცი. მინისტრმა წარმოთქვა სიტყვა, როგორც შეეფერებოდა იმ დროს და ადგილს და სადგარტამენტო პირების მოწვევებს დაუძახა ჯილდოებისთვის; ამ დროს დაღბანდების ხმა მოისმა და ზალაში შემოვიდა მარშალი ძანრობერი; და ყველა თავის რიგზე იყო. მეორე ხარისხის ჯილდოების დარიგება რომ დაიწყეს, წამოიძახეს ძავენიკის სახელი, რომელმაც ზალაში საშინელი ტაშის კერა აღძრა. შაბუკი ძავენიკი თავის ადგილიდან არ დაძრულა. მართა მასწავლებელთაგანმა ხელით აჩვენა იმას ამ ადგილზედ, სადაც იმისთვის მომზადებული ჯილდო იდგა. შაბუკი ჯერ ყოყმობდა, მერე თითქმის დაიძრა ალაგდგან, მაგრამ იქ მყოფებში ერთი მანდილოსანი იყო, რომელმაც ცოტათი წამოიწია თავისი ადგილიდან და გაიწოდა ხელი ძავენიკისკენ, თითქმის ამით ეუბნებოდა: „ადგილიდან ნუ დაიძრებოდა“. ეს ქალი როგორც გამოჩნდა, გენერალ ძავენიკის ქვრივი იყო. ამ დროს ზალაში ასტყდა საშინელი დამაყრუებელი ტაშისკერა; მოწვევებმა თავის ამხანაგს დიდი აღტაცება გამოუტყდა, და ძავენიკი, გაფითრებული და აღვლევებული ისევე დაჯდა თავის ადგილას. ჩვენ არ ავწერთ, თუ რა მღელვარება მოხდა ამ დროს იქ დამსწრეებში. ეს კი უნდა ესთქვათ, რომ ძავენიკის ქვრივისაგან აკრძალვა, რომ ქაბუკს ძავენიკის თავის შრომის ჯილდო არ მიეღო—ჰნიშნა—და რაღაც სასტიკს და თავგამოდებულს ქცევას. მაგრამ ვის შეუძლიან გამოიძიოს და გამოიკვილოს სულიერი ამპარტანების გრძნობა და უმეტესად როცა ეს გრძნობა დაკავშირებულია დიდი მოქალაქის მოგონებასთან, მაშინ არ შეიძლება ამის პატივსაცემლობა. ამბობენ, რომ როდესაც ხალხი დაიშალა, ქუჩაშიაც დაიწყეს ტაშის კერა და სიტყვების ძახილი და ვითომც მაშინ პოლიციამ. . . . მაგრამ არ გვიანდა დაუჯეროთ ამას. მართლაც და არ უნდა ექმნა პოლიციას იქ, სადაც ყოველიფერი მოხდა განსაკუთრებით პიროვანი ღირსების ცნობისაგან.

— ამის თაობაზედვე სწერია „ქელნის გაზეთში“: „ახლაგზდა ძავენიკა, როგორც გეგონია, იმისთვის სთქვა უარი ჯილდოს მიღებაზედ, რომ იმას უნდა მიეღო ის იმპერატორის პრინცის ხელითგან. ჯერ ურჩევდნენ ქაბუკს ძავენიკს, რომ მისულიყო ჯილდოს მისაღებად, მაგრამ მერე კი თავი დაანებეს, რადგან ვილაქამ წამოიძახა: „ძავენიკის დედას არა ჰსურსო!“. ამ სიტყვებს შემდეგ ასეცტა ხმა მაღალი და ხანგრძლივი ძახილი: ძავენიკს გაუმარჯოს!“. რომელი მოწვევებიც კი თხუთმეტ წელიწადზედ მეტიანი იყვნენ, იმათ ძალიან სწყინდათ, რომ ჯილდოებს იღებდნენ თორმეტი წლის ბავშვის ხელითგან. ეს უმადურება ბოლოს ძახილით გამოცხადდა, რომელიც საზოგადო ხმაურობაში ისმოდა: „ეს ბავშვი—სულაც არ არის ჩვენი რექტორი“. უნდა ესთქვათ, რომ უნივერსიტეტის რექტორად სახლობი განათლების მინისტრი ათვლება. აგრეთვე ისიც უნდა ესთქვათ, რომ როდესაც ძავენიკს პირველ ჯილდოს აძლევდნენ, მაშინ ღენერალი შოსსარიც მიემხრო იქ დამსწრეებს და იმანაც დაიწყო ტაშისკერა და ამასთან ანიშნა იმპერატორის პრინცს, რომ იმასაც ტაშში დაეჭრა. ღენერალი შოსსარი ძალიან ჰყვანიდა კაცს; ის მაშინვე მიხვდა, რომ დემონსტრაცია ევლარ მოხდებოდა, თუ იმპერატორის პრინცსაც მიეღო იმაში მონაწილეობა. მაგრამ გენერალს ვერ აღუსრულდა წადილი და ამის გამო დემონსტრაციამ მიიღო პოლიტიკური და თითქმის ანტი-იმპერიალისტური ხასიათი. მაინც, ზალაში, სადაც ჯილდოებს ურიგებდნენ, განსაკუთრებით უწყობდა არა მომხდარა; სხვა არა იყო არა იმის მეტი, რომ ტაშს უკრავდნენ, ფეხებს აბრაზუნებდნენ და ზოგიერთ სიტყვებს იძახდნენ, მაგალითად: vive, chat, silence“. ეს ყველა—ძალიან ჩვეულებრივი ამბებია სორბონის დღესასწაულისთვის.

— წმინდა მიხეილის ბულვარზე რომ დემონსტრაცია მომხდარა, იმაზე Patrie-ში სწერია: „გუშინ, 16 აგვისტოს ერთი დიდი გროვა რომელშიაც იქნებოდა 500-600 კაცადვე, მიდიდა წმ. მიხეილის ბულვარზე და ყვიროდა: „როშფორს გაუმარჯოს! შანარს გაუმარჯოს! დაიკარგოს სტამირი და იმისი თაბუნი! შანარის ბოძებზე მხევერავები!“. ამით მოასწრო პოლიციამ, ცხრა კაცი დაატუსაღა და, ჩვენების ჩამორთმევას შემდეგ გაგზავნა პოლიციას პრეფექტურაში.

— პარიზის უნივერსიტეტის მედიცინის (საექიმო) შაკულტეტზე, ჯილდოების დარიგების დროს არა ვითარე უწყობდა არ მომხდარა; მხოლოდ ეს კი იყო, რომ ბევრს იძახდნენ: „როშფორს გაუმარჯოს. თითქმის არც ერთი საზოგადო დღესასწაული არ მომხდარა ესეით, რომ ამას არიძახდნენ. შ. როშფორმა აპელაცია შეიტანა, —ამაზე მომხდარ გადწყვეტილების თაობაზედ, —იმპერატორის სამჯავროში; მაშ შანარის მეთორმეტე ნუმრის გამოსვლას კანონიერი დაბრკოლება არა აქვს; მაგრამ მაინც, უნდა ეიფიქრო, რომ შრანციის მმართველობა იმ წამსვე აკრძალავს იმას, რაწამს გამოვა. — 14 აგვისტოს გამოვიდა პირველი ნომერი გაზეთის — ზარისა, რომლის გამომცემელი არის ულუი შობანი.

— პარიზის Presse-ში სწერია: „შ. ჰენრი როშფორი მოვიდა ბრუსელში 11 აგვისტოს, მეორე დღეს წავიდა სპას და იქიდან ბრუსელში დაბრუნების უმაღლ შეუდგა შანარის მეთორმეტე ნომრის მზადებას; ეს ნომერი უნდა გამოვიდეს პარიზში შაბათს, 15 აგვისტოს. ამბობენ, რომ იმას აღარა სურს პარიზში დაბრუნება და აპირებს თავის ქალიც ბრუსელში გადიყვანოს. თუ პარიზში ევლარ მოხერხდება „შანარის“ გამომცემა, მაშინ, უეჭველია, ეს გაზეთი სულ აღარ გამოვა, რადგან უფ. როშფორს არა სწადიან იმის გამოცემა ბრუსელში. ბელგიაში იმან ბევრი თანას თანა მემამულე ნახა რომელთაც დიდი თანაგრძნობით მიიღეს ის და იმათ ლაპარაკში უთხრა, რომ არა მსურს ბელგიის მმართველობის რამე უსიამოვნობა მიეყენო და არც თუ მე მაიმება პოლიციის მხედველობის ქვეშ ყოფნა.

იტალია.

რომიდან იწერებინ ტელეგრაფით, 10 ამთვეს: „დღეს დილით პაპა წავიდა ბანაკში, რომელიც არის როკკა-და-პოკოსთან. მადიანადა რა პარაკლისი, იმან ისაუბრა თავის ატიკრებთან და ნეპოლიტანის კოროლის გვარეულობასთან, და შემდეგ გასინჯა ბანაკი. მორმეტის ნახევარზედ ბროტატეფრატას დაბრუნდა და იქ ბერძნების მონასტერში აფიქრებს სადილი გაუკეთა. საღამოზე ისევე რომს დაბრუნდა. მთელ დღეს კარგი ამინდი იყო და პაპაც კარგა ჰგრძნობდა თავის თავს. — მეორე დღეშა

გვატუბინებს, რომ „პარაბინტისა“ დღე-ღონეებისა რაზმებში ისევე იპარებინა ჯარები. შალაქში შესავალ კარებებთან ბარაკადებს (სლუდებს) ახლა ამარებენ, თუმცა განსაზღვრული აზრი არა აქვსთ ამაზედ.

ოსმალეთი.

პონტანტინეპოლიდგან, 4 აგვისტოს, Indep. Belge-ში იწერებინ: „აქ ესლა სულ ბოლგარიის საქმეებზედ ლაპარაკობენ. მივიდა თუ არა თავის ადგილას მილათ-ფაშა, მაშინვე ჩამოახრახინა და დახვედრინა თაბუნის დანარჩენი, რომელიც ოსმალეთის ჯარმა დაატყვევა თხუთმეტ კაცადის, რომელიც დაეტყვევებინათ თოფიარლიანები, სამხედრო სამსჯავროსაგან სიკვდილით დაისაჯნენ.

თითქმის ესლა მშვიდობიანობა ჩამოვარდა იმ მხარეზე, მაგრამ მაინც მომავლისთვის კარგი იმედი არ შეიძლება ექიანოთ, რადგან რუშჩუკის ელჩების მოხსენება სულ სხვას ამბობენ. ზოგიერთ დატყვევებულებს ქალაქები უპოვნეს, რომლებიცდან სჩანდა, რომ ასადგომათ დიდი პლანი აქვსთ შედგენილი ასე, რომ უწინდელი არეულობა შეიძლება ჩავთვალოთ მხოლოდ პირველ გამოცდად.

პანდიის საქმეების მდგომარეობა. გაზეთში—Daily-News-ში არის დაბეჭდილი კანდიელი კორრესპონდენტის წიგნი, რომელიც არის საინტერესო, რადგან იმაში თვით მნახველისაგან არის აღწერილი პანდიის ნამდვილი ამბები. კორრესპონდენტი სწერს: „ღებურნი პანდიას და ეს უბედური კუნძული ისევე უწინდებულად დამხვდა: ისევე თავისუფლებისათვის ბრძოლა, ისევე ნანგრევები და აკლების კვალი, რომელიც ამ ორი წლის ვიგვალახისაგან და დაუნდობელი ომებისაგან მთელ კუნძულზედ მოვიდა. ისევე უწინდელად, თითქმის ყოველ დღე ბრძოლა, შეუმუშავებელ მინდვრებზედ და გადამწვარ სოფლებს შუა; ბლოკადას (გარს შემორტყმა) უწინდელად გამოსავალი არა აქვს, და ისევე უწინდებულად დადის გემი, რომელსაც განდგომილებისთვის მოაქვს თოფი-იარაღი და საზღო, ეს გემი დანიშნულ დროს მიდის და მოდის და აქამდის ვერ შეუტრეს გზა. რაც მე ამ კუნძულზე მოვიდი, შარშანდღეს აქეთ, გემის მოტანილი ნივთების მისაღებათ უფრო კარგა არიან გამართულნი. რამდენიმე ადგილობრივი წინამძღვარი უდარაჯებენ, რომ გემის მოტანილი სულ გადმოალაგან, მთლათა და უწინდელად შეინახონ. ზოგანაც იმაზე იჭიკრენ თვალყურს, რომ ტომრები და შეკრულები დაწყონ წინათვე დამზადებულ, სახერხო ალაგას, — ეს ყოველი ფერი კეთდება მარდათ და რიგზე იმ ხალხისაგან, რომელიც ერთ წამსაც ძვირად აფასებს. მაგრამ, ახლა იმას გაამბობთ, თუ რა მოხდა გემზედ, როდესაც ის პანდიის კიდევს მიახლოვდა. იმაზე ბევრი კუნძულელნი იყვნენ, რომელნიც თავის ცოლ-შვილის სახანაოდ წასულიყვნენ საბერძნეთს და ახლა ისევე თავიანთ სამშობლოს დაბრუნებულყვნენ. ისინი ყველანი გემს ზევით იყვნენ, ერთი გულა ზურგზე ეკიდათ და თოფიც ხელში ეჭირათ. რადგან ომის ცეცხლი-დანათი გამოცდილი ჰქონდათ, ამისთვის მომავლისთვის სასოწარკვეთილებაში არ მოდიოდნენ, და თუმცა სახეზედ აღარ ეტყობოდათ შარშანდელი ხალხისიანობა, მაგრამ ახლა იმათ უფრო იმედიანი და დაწყნარებული სახე ჰქონდათ. რომელიც ყველაზე, ახალგაზდანი იყვნენ მათში, ისინი გაჩვეულყვნენ ხანგრძლივ ბრძოლაში, და ყველანი ისე დამშვიდებით და გულდამდობილად მოცურავდნენ მტრისაგან შემოზღუდული კუნძულისკენ, თითქმის საქეფოდ მიდიან სადმეო. სურვისა და კუნძულზე მოსვლის შემდეგ, კორრესპონდენტი ამბობს: „ლამის გასატარებლად ჩვენ ნაპირზე დავდექით, ერთი დაქვეულ მონასტერს ახლოს, ამ მონასტერს გარს ისეთი ხეები ახვევია, რომელთაც ყუმ-



ბარის კელი აჩვენა, იმ ყუმბარებისა, რომელსაც სხვა და სხვა დროს ოსმალებს უსერიოზოდ თავიანთ გემებიდან ჩვენ გარეგნულად გაგვეღვიძა. ჩვენ გარეთ მყოფი ბუნება კაცის გონებას წარატაცებს, მაგრამ ჩვენ მაინც ამითი ვერ დაეტყვებოდით; არც ერთს არ აეწყდებოდა, რომ კუნძულზე საშინელი სიხსლის მღვრელი ომი მღვრებოდა. პატარა ხანს შემდეგ ჩვენ შევაჩინეთ რალა გემი, რომელიც კიდევსენ მოსურადა. ძიღვდ ბევრი ხალხი იყო და ამას შეეძლო ჩვენი მტრის ყურადღება მიეპყრო თავისზედ. მართლაც ისე მოხდა. ოსმალების კაპიტანი, ყველა შემთხვევისათვის მოგვესალაძა ჩვენ ზარბაზნების სროლით და ცოტა ხანს შემდეგ სეტყვასავე ყუმბარები მოგვყარა და ამით შევიტყეთ ჩვენ, რომ ცუდი ალაგი გვეჭირა და დაუზარალებლად ოსმალებს ვერ შევებოდით. გვეშინოდა მტერი ხეივან არ გადმოსულიყო ამის გამო საჩქაროდ მოგვრიბეთ ჩვენი ბარგი, საზრდო, წამლები და სხვა რაცა გექნადა და მონასტრის ნაქცევებს უკან ერთ მიმალულ ალაგას დაემაღეთ ოსმალებმა ორიოდ ყუმბარაც კიდევ გვესროლეს და ბოლოს, როცა ჩვენ კანდიელთ რაზმი მოგვეშველა, რომელიც თითქმის სირბილით მოდიოდა ჩვენთან, მაშინ ჩვენ პასუხის გასაცემად მოგვშადნით და მოდარაჯე მტრის ხომალდი კი ნელ-ნელა გაგვეცალა. ჩვენ ბედზედ არც ერთი ჩვენგანი არ დაიჭრა. მაგრამ ოსმალებს რომ გაეგრძელებინათ ჩვენ წინააღმდეგ მოქმედება, მაშინ ბევრს შეუხებდას მოგვყენებდნენ, რადგან ჩვენ უნდა გვემოქმედნა სრულებით გაშლილ ვაკეზედ. ჩვენი მოსვლის ამბავი ყველგან მსწრაფლად მოედინა და მაშინ დაიწყეს ჩვენთან დევნა მრავალმა გაჭირებულმა რჩევისა და შევლისთვის. ჩვენც შეძლების გვარად ეფეროდით. ღმერთმა ჰქმნას, რომ ჩვენ იმათი შეწყვენა მოგვიხდეს, რომელიც ძანდიის თავისუფლებისთვის იბრძვიან და ითმენენ მრავალ შეწყუხებას და ნაკლებულებას. აქ ჩვენ მრავალი ავადმყოფი მოგვიყვანეს, მრავალი ყმაწვილები, რომელთ დედები სიმშლისაგან ძლივს იდგნენ ფეხზედ. თქვენ გაგიკვირდებათ, რომ ოსმალების გემის წასვლის შემდეგაც ჩვენ ისევ კანდიის ნაპირზე დავრჩით. მაგრამ რა გვექნა? იმდრომდის უნდა ეყოფილიყავით იქ, განა ჩვენი ჯარები არ დაბრუნდებოდნენ, რომელთაც ჩვენ მახლობელ რაზმებში სამხედრო იარაღი და საზრდო გვატანეთ. რაც ძანდიის აღრეულობა მომხდარა, მას აქეთ აქამოდ, ყველა მამულის მოყვარესათვის პირველ საცხოვრებელ სახმარს თოფის წამალი და პური შეადგენს. ამას უკან საქიროა წამლები, იარაღისა და დაჭრილობის იარაღები და სხვ., რომელნიც ჩვენში თითქმის განცხრომას შეადგენენ. შევლა ჩვენ ბანაკში მოსული ძალიან მადლობელი რჩებოდა ჩვენი. შოვლის მხრით გვეხვეოდნენ, ხელებს გვიჭერდნენ და ყველა ჩვენგანს უნებურად შარშანდელი ჩვენი საქმეები აგონდებოდა, როდესაც ჩვენ შფოთით აღსასვინი ეუყავით და გამჭირაობა გექნადა მოქმედებაში.

სლოვანების ქვეყნები.

ჰრმა მთავრობის მილანის მზრუნველებმა (პაქუტებმა) დანიშნეს კამისია, რომელსაც უნდა შეეტყუა, თუ რა აღზრდა მიუღია მთავარს პარიჟში და აგრეთვე რა გვარად უნდა შესდგეს პროღრამმა იმის შემდეგი აღზრდისთვის. ამ კომისიამ ასის თაობაზედ წარადგინა თავისი მოხსენება, რომელშიაც არის ნათქვამი, რომ მთავარი უნდა მიიბარონ ორს პროფესორს სერბს, ანუ სერბულათ მოლაპარაკეს, მიუჩინონ იმას ერთი კიდევ სხვა პირი, რომელიც გამოჩენილი იყოს თავის სლოვენური პრინციპებით, მაღალი ზნეობითი თვისებებით და მეცნიერებითი

ცოდნით; ამას უნდა მიენდოს სასტიკი თვალყურის დაკერა იმაზედ, რომ პროგრამას არ გადასცილდნენ, და დაესწრას ხოლმე მთავრის ეგზამენებზე, რომელიც ყოველ ექვს თვეს უკან უნდა მოხდეს ხოლმე. ამას გარდა მთავარს უნდა ჰყვანდეს ერთი აღმზრდელიც კიდევ სხვა, გუვერნერის მსგავსი, ან თავი აღმზრდელის თანამემწე, და სხვ. მხრუნველებს ჯერ თავიანთი აზრი არ წარმოუთქვამსთ ამ კამისიის მოხსენებაზე.

ტელეგრაფები.
(პეტერბურგში მიღებული.)

პარიჟი 1 (14) აგვისტოს. მომრჯულთბელი პოლიციის სამსჯავრომ ჟურნალის Lanterne-ის (ფანარი) რედაქტორს, უ. რომშო-რს, იმის დაუსწრებლად (*) დანუჩინა ერთი წლით ციხეში დამწყვედვა 10,000 ფრანკი ჯარიმის გადახდევინება, ხოლო იმავე ჟურნალის გამომცემელს, უ. ლიუბუასროს, აგრეთვე იმის დაუსწრებლად გადუწყეცა ორი თვით დამწყვედვა და 2000 ფრანკი ჯარიმა.

— 3 (15) აგვისტოს. ბუშინ რომ ჯილდოებს ურიგებდნენ საეკიმო სასწავლებელში, სტუდენტებმა კიდევ არეულობა მოახდინეს.

მენა, 3 (15) აგვისტოს. სკუტანში სიხსლის მღვრელი შეტაკება მოხდა ოსმალებსა და ქრისტიანებ შუა; ეს შეტაკება იმისგან წარმოდგა, რომ ქრისტიანებს შეუწუხებას აყენებდნენ. ამ საქმეში ოსმალოს ჯარიც ჩაერია; ბევრნი დაიჭრნენ და დაიხონენ.

ბრუსელი, 3 (15) აგვისტოს. უ. რომშო-რი პარიჟში დაბრუნებასა და სამსჯავროს გადაწყვეტილების დამორჩილებას აპირებს ჟურნალი Lanterne-ის მე 20 ნუმერი გამოვიდა.

მოსკოვი, 4 აგვისტოს. ნიკოლაევის რკინის გზის გაყვლებაზედ, პეტერბურგიდან ბოლოგოვის სტანციაზედ, თითქმის მთელი ტყე იწვის, მხოლოდ შიგა-და-შიგ არის დარჩენილი ალაგებიო. შრადის სტანცია ცეცხლით არის მოცული. ამ სტანციაზედ ჯარები მოვიდნენ (ცეცხლის გასაქრობად). მალა-ვი შერის და ბრადის სტანციებს ახლოს ძალიან დიდი ტყეები იწვის. ამ დღეებში მიწვე-მოლოჩოკას ახლოს მოვიდა ტყეებს.

ნიჰოლანდი, 6 აგვისტოს. ინდოეთ-მერაბის ტელეგრაფის გასაბმელად რომ ძაქასიის კიდეს (ნაპირს) ჰშომაედნენ—გათავეს.

ფლორენცია, 6 (18) აგვისტოს. დღეს გამოცხადდა დაბოლოებითი პროტოკოლი შრანციის-იტალიის ტრაქტატისა, 1866 წლის 25 ნოემბრისა (7 დეკემბრისა), იმის შესახებ, რომ იტალიამ პაპის მმართველობის სახელმწიფო ვალის გადახდაში მონაწილეობა მიიღო. ამპროტოკოლის ძალით, რომელიც 1878 წლის 19 (31) ივლისს არის ხელ-მოწერილი იტალიას წილად ჰხედება სულ 18,020,000 ფრანკი. რაც ამ საქმის თაობაზედ დავა და ბაასი ასტყდება, იმის დაბოლოება შეიძლება შრანციის მმართველობის შუამავლობით.

მენა, 7 (19) აგვისტოს. გაზეთ-die Presse-ში სწერენ დღეს, რომ აღმოსავლეთის საქმეების საშიშარი მდგომარეობისა გამო, უცხო საქმეთ სამინისტრომ, ავსტრიისა და მენგრიის სამხედრო სამინისტროთ თანხმობით, შეამცირა ავსტრიიდან თოფიარაღისა და სხვა სამხედრო ნივთების გატანა სერბიას, მლახეთს და მოლდავიას.

— ოფიციალურის სახით გამოცხადებულია: შემოსასწვრინა ავსტრიაზე თოფ-იარაღის გატარება, რომელიც მიაქცთ სერბიას, რუმინიას და ბოსნიას,—რადგან აღმოსავლეთის საქმეები საშიშო მდგომარეობაშია.

მოლდავიიდან მოსული ამბები გეტყო-

*) რომშო-რი მმართველობის დენის გამო პარიჟიდან ბელგას გამოქცა.

ბინებენ, რომ იქ ახალი რაზმები იკრიბებიან და ღუნის გაღმა გასვლას აპირებენ ბოლგარიას მისასვლელათ.

ტფილისში მიღებული.

პეტერბურგი, 14 აგვისტოს. როგორც ოდესიდან გეტყობინებენ, ბოლგარიაში განდგომილების ორი რაზმი შემდგარა და ერთი ამათგანი მაკედონიას წასულა. ბრამო-ეთან დიდი შეტაკება მომხდარა ოსმალების ჯარია და განდგომილ ბოლგარელებს შუა.

ამ დროების შრანციის მწერალნი და იმათი თხზულებანი.

იმპერატორმა ნაპოლეონმა როცა ზალც-ბურგს ნახა იმისგან დამარცხებული ავსტრიის იმპერატორი და იქიდან შრაციაში დაბრუნდა, იმან შენიშნა შრანციის კამარაზე შავი წერტილი, რომელიც ამ ქადა საშიშო შავ ღრუბლათ გადაიქცა და ნაპოლეონისთანა გამსჭვარი თვალი კი არა, უბრალო თვალიც კი ჰნიშნავს ამ შავედითს ღრუბელსა. დიდი გრგვინის წინ რომ მიმე ჰყერი დადგება და ყველას სულს უხუთავს, ახლანდელი შრანციის ხალხი სწორეთ იმ გვარს მდგომარეობაშია ჩაერდნო. იმან იცის, რომ საშინელს ქეჩა-ქუხილს ვერ ასცილდება და გულ ალელებით იტყირება იქით და აქეთ, მაგრამ არ იცის სად შეიფაროს თავი ამ საშინელის მოსალოდნელის შემთხვევისაგან.

მიზო სწერს, მე ჩემი კალმით შევხებივარ ყველა დიდს საქმეს, რომელიც ალელებს ხოლმე საზოგადოებას, შევხებივარ ხალხთა ურთიერთ მიმართ სიმატლის საქმეთა, საპოლიტიკო დაწყობილების საქმეთა, საზოგადოების ურთიერთ მიმართობის საქმეთა, სარწმუნოების საქმეთა:—და ყველგან ორ გვარი საგანი შემინიშნავს: დიდი არეულ-დარეულობა და დიდი ყოყმანობა თავის განზრახვის ასრულებაში. პრაფერი არ ვახდა მარტივი და ადვილი საკეთებელი; ვერსად ვერ ვიპოვე გაძნელებობა. შოველნი ასახსნელნი საქმენი და იქვეულობანი, ერთად დასწოლან კაცის აზრსა და იმის ნებას. სურვილი უსაზომონი არიან, შემოუსაზღვრელნი და მრავალ გვარნი; ყველა იმახის, როგორ მოვიქცეთ და ვერაფრისთვის გადაწყვეტით ხელი ვერ შეუხია. ასე გვონია, თქვენ წინ სდგანან არაქათ წართმეულნი მგზავრნი, მაგრამ გზა-უცვლელს ალაგას ჯერ კიდევ თვალ დახუტულნი საზრით იკვლევენ გზასა. ამისთანა მდგომარეობაში დარჩენა ხალხისთვის შეუძლებელია და ამის გამო სწავლით და გონებით ასეენი მეცნიერნი და მწერალნი ცდილობენ ახსნან, თუ როგორ და რა საშუალებით გამოვა ხალხი ამ მდგომარეობისაგან. ისინი თავის თხზულებით ცდილობენ გზა გაანათონ და ხალხსაც გამოასვლელი გზა დაანახონ. მაგრამ, როგორც შირარდენი ამბობს, შრანციაში აზრი მოქმედებას და საზოგადო განსჯას ვერ მიეცემა და მხოლოდ წიგნებში უნდა იმალდებოდესო. მართლაც შრანციის მოწინავე პირნი ამ უკანასკნელს ქაშს გვაძლევენ და გვაძლევენ საზოგადოების დაბანდულთა საქმეთა ასახსნელს წიგნებსა.

მომავალ დროისთვის საკვლევ გზის მისაგნებათ საქიროა ახლანდელი გზა დაწერილებით განიხილოს კაცმა. ამ მოთხოვნილებას ბორნმა ვასცა პასუხი. ბორნი არის ერთი უბრეველესი პირთაგანი, რომელიც პატიოსანის თავგანწირულებით მსახურებს შრანციაში თავისუფლების დამკვიდრებას. დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც იმან საქმით დაამტკიცა, რომ ის გულმხურვალედ და უსასყიდლოთ იბრძვის ამ საქმისათვის. ამ წარსულს ზამთარს პეშტიდგან მისწერეს და სთხოვეს, ლლოიდის დირექტორათ გამხდარიყოს; თუმცა ეს ადვილი შემოსავლით ძალიან სასა-

რგებლოა და შრანციის მწერლობაშიც კიდევ დაიწყო მწუხარება ამისთანა ძვირფასის თანამშრომელის დაკარგვისათვის. მაგრამ ბორნმა ლლოიდის მისწერა, რადგან ჩემს თავს თვლი იმათს რიცხვში, რომელნიც იღვეიან შრანციის თავისუფლებისათვის, ამისთვის მე ჩემს წმინდა მოვალეობათ ვრაცხავ აქ დავჩე, ვიდრე ეს მცირე რიცხვი ჩემის ამხანაგებისა არ გაძლიერდება. ბორნის თხზულებას ეწოდება ბილან დე-ლამპირი (Bilan de L'empire) რომელშიც განიკიცება ცუდი მდგომარეობა შრანციის იმპერიისა ეკონომიურის მხრით. ნაპოლეონ მესამის დროს 31 მილიარდი დახარჯულა თხუთმეტის წლის განმავლობაში, მაშა სადამე 12 მილიარდით მეტი, ვიდრე იმის მოადგილეს კარლოს ლუდოვიკ შილიპეს მეფობაში. ამისთანა ცუდის ოჯახობისაგან, ბორნის აზრით შრანციას მიეღოს ორი შემთხვევა: ან ცელილება და ან ბანკროტობა. მს დასკვნა იმითია მართალი, რომ ახლანდელი ოჯახობა იმპერიისა თუ კიდევ უწინდულთ გაგრძელდა, ბანკროტობას შეესწრება უეჭველათ. მაგრამ ამის მიზეზი მართო უთაური ოჯახობა სახელმწიფოისა კი არ არის, ამის მიზეზი მთელი საპოლიტიკო და საზოგადო დაწყობილობა იმპერიისა არის. როდესაც წარმოვიდგენ შრანციის ხალხის სიმკიცრცხლეს, უნდა დავრწმუნდეთ, ამისთანა მდგომარეობა დიდხანს ვერ გასტანს. რითიმე უნდა გათავდეს ეს ცუდი მდგომარეობა, მაგრამ ახლანდელი დაწყობილება რომ მოისპოს, იმის მაგიერ რა უნდა დაწესდეს? ან რა ღონისძიებით უნდა მოისპოს? ნუ თუ კიდევ რევოლუციითა ან ამ კითხვებზე შეჩერდა დიდებული მწერალი ჩენანი, ამისთვის არ იქმნება ურიგო, რომ მკითხველები გავცნათ იმის აზრებსა. იმისივე სიტყვებით.

„შრანციის რევოლუცია განცდასა ნიშნავს ხალხისას, რომელმანაც გაჰხდა იმის მოხდენა. მაგრამ ეს განცდა სახეირო არ იყო, შრანციის რევოლუციამ დაჰხდა ხალხი, რომლის მომავალი ეჭვევე არის, ხალხი, სადაც მართო სიმდიდრეს ჰხდეს ფასი და სადაც კეთილმოხილურს გრძნობას ალაგი არა აქვს. პანონის ქრება ისეთ რიგათ არის შედგენილი, რომ ყოველი კაცი იბადება გამოსაზრდელს სახლში და ჰყავდება უცოლოთ. აქ შვილი მამის აუტანელ ტვირთათ ჰხდება; რასაც საზოგადო და საუკუნო მნიშვნელობა აქვს, არც ერთი არა აწამთ: ვინც სწავლულია, თავის მოყვარეა და ცდილობს რაც შეიძლება ცოტა საზოგადო მოვალეობა იკისროს. საკუთრება ზნეობითად კი არ ესმისთ, არამედ მიაჩნიათ სიტკობათ, რომელიც ფულის სიდიდით განიზომება; ვისაც ბევრი ფული აქვს, იმას მომეტებული კმაყოფილება და მომეტებული გრძნობიერი კეთილ-მდგომარეობა ხელში უჭირავს. ამისთანა ცხოვრების წესი შთაადგებს ხალხს უძლურებაში და დამდაბლებს უარესს ყოვლისა. ჩენანი ამბობს, რომ რევოლუციამ ყოველივე გააცალკევა: კაცი კაცისგან საზოგადოება საზოგადოებისაგან; არაფერი არ დარჩა ერთად შეკავშირებული, გარდა ეკლესიისა. იმას არ შეხებია რევოლუცია და მართლაც სასულიერო წოდებაში რომ ერთობა არის, იმისთანა არც ერთს შრანციის საზოგადოებაში არ არისო. 1848 წელსა მომხდარი რევოლუცია ყველაზე უფრო შეუგინებელი, პატიოსანი იყო, მაგრამ თავის წინდაუხედავობით და სიმჩატისა გამო ერთი წელიწადი არ გასულა, რომ მთელი სახელმწიფო ჩაუგდო ხელში იმ ნაწილს ხალხისას, რომელიც ყველაზე უფრო მიმე უმაქნისი და ცუდი ძველი წესის დამცველია. ამ სახით დაარსდა სულის მომხუთავი დაწყობილება. მხოლოდ 1859 წელს ნაპოლეონ III წყალობით ამ სულის მომხუთველს გარემოებაში მოჰპერა სასიამოვნო ცელილებაში. ცუდი ძველი წყობილების დამცველთა, ანუ სხვა რიგათ ვთქვათ ძონსე-

